ან ცალ-ცალკე სტატიები ქანდაკებაზე, ფერწერაზე, ხუროთმოძღვრებაზე. ასევე არ აწყენდა განმაზოგადებელი სტატია „ეგვიპტური ანთროპოლოგია“ და „რელიგია“, სადაც მკითხველი ამ ორი სფეროს – ადამიანთა და ღმერთთა ბუნების ზოგად პრინციპებს ამოიკითხავდა. იმედია, „ენციკლოპედია“ მეორედაც იხილავს დღის სინათლეს და, ვფიქრობ, ეს ხარვეზიც შეივსება.

ზურაბ კიკნაძე

კალისტრატე ცინცაძე. ქადაგებები და სიტყვები. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და გამოკვლევა დაურთო ნუგზარ პაპუაშვილმა, რედაქტორი ზურაბ კიკნაძე, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2014, 303 გვ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე (1866-1952) ჩვენს საზოგადოებაში კარგადაა ცნობილი, როგორც მაღალი ინტელექტისა და ფართო ერუდიციის მღვდელმთავარი. იგი თანაბარი წარმატებით იღვწოდა როგორც საეკლესიო, ასევე საერო ასპარეზზე განათლების, კულტურისა და მეცნიერების სფეროებში. მისი სახელის დაჩრდილვა და დავიწყება საბჭოთა ტოტალიტალურმა რეჟიმმაც კი ვერ მოახერხა. კომუნისტური მმართველობის ბოლო წლებში იშვიათად, მაგრამ მაინც გვეძლეოდა შესაძლებლობა სასულიერო და, ზოგჯერ, სამოქალაქო პრესის ფურცლებზეც გავცნობოდით მის ნაწერებს. ეს დიდწილად ნუგზარ პაპუაშვილის მეცადინეობით ხდებოდა, რომელიც იმხანად საქართველოს საპატრიარქოსა და ხელნაწერთა ინსტიტუტში მუშაობდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ამ ხნის განმავლობაში კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს სამეცნიერო შრომებისა და მემუარების დიდი ნაწილი გამოქვეყნდა, მაგრამ მაინც გვრჩებოდა უკმარობის გრძნობა, რადგან ამ დიდი სასულიერო პირის სიტყვები და ქადაგებები ერთად თავმოყრილი, კრებულის სახით, არ არსებობდა. ამის გამო არ ხერხდებოდა, მისი, როგორც სულიერი მამისა და მოძღვრის, სახის სრულყოფილად აღქმა და გააზრება. სასიამოვნოა, რომ ჩვენს საეკლესიო, კულტურულ და სამეცნიერო ცხოვრებაში ამ შესამჩნევი ხარვეზის ამოვსება იტვირთა ხსენებულმა მკვლევარმა, ხელნაწერთმცოდნემ და ეკლესიის ისტორიკოსმა ნუგზარ პაპუაშვილმა. მან თავი მოუყარა მასალას, აღჭურვა ის სათანადო შენიშვნებითა და კომენტარებით და მკითხველთა ფართო წრეს სოლიდური გამოცემა შესთავაზა.

წიგნის გამომცემელი ორგანიზაციებია: კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი და სულხან-საბა

ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი, რომლებიც, ამის გამო, ნამდვილად მადლობას იმსახურებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ წიგნი გამოიცა სერიაში „რელიგია კონფლიქტებსა და მოლაპარაკებებში“ და მიეძღვნა ცნობილი კონფლიქტოლოგისა და პოლიტოლოგის, ფილოსოფიის დოქტორის, პროფესორ გიორგი ხუციშვილის ხსოვნას.

შესავალიდან ვიგებთ, რომ კრებულში გაერთიანებული ქადაგებებისა და სიტყვების ერთი ნაწილი ავტორს (კალისტრატე ცინცაძეს) გამოქვეყნებული ჰქონდა პერიოდიკაში თუ კრებულებში, ასევე, ნაბეჭდი ფურცლების სახით (საეკლესიო ქადაგებები), ნაწილი კი გამოუქვეყნებელი დარჩა და ხელნაწერების (მეტწილად ავტოგრაფების) სახით დაცული იყო მის პირად საარქივო ფონდში (ხელნაწერთა ინსტიტუტი). ეს ტექსტები შეკრიბა ნ. პაპუაშვილმა, თემატურად დაალაგა ისინი და გააერთიანა საერთო სათაურის ქვეშ: *„ყვავილკრებული“*, რომელიც მას ძველი ქართული მწიგნობრული ტრადიციიდან აუღია. ფაქტობრივად, ეს არის მივიწყებული ძველი ქართული სახელწოდების გაცოცხლება, რაც მისასალმებელია.

ამავე შესავლიდან ვგებულობთ, რომ ნ. პაპუაშვილი კალისტრატე ცინცაძის ნაშრომებით 1980 წლიდან დაინტერესებულა, როდესაც კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ინიციატივით დღის წესრიგში დადგა საკითხი უწმინდესი კალისტრატეს წმინდანად შერაცხვისა, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო ამ საკითხზე ლაპარაკი შეწყდა. ამის მიუხედავად, ნ. პაპუაშვილმა კალისტრატე ცინცაძის წერილობით მემკვიდრეობაზე მუშაობა განაგრძო და, როგორც თავად აღნიშნავს, 1980-1990 წლებში, მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებთან თემატური თანხვედრის პრინციპით, განახორციელა მისი ქადაგებებისა და სიტყვების რამდენიმე პუბლიკაცია საქართველოს საპატრიარქოს ბაზაზე გამომავალ ჟურნალებში: „ჯვარი ვაზისა“ და „საღმრთისმეტყველო კრებული“. იმდროინდელი პოლიტიკური რეჟიმის მიუხედავად, ისიც კი მოუხერხებია, რომ ზოგიერთი სიტყვა და მემუარი საერო ჟურნალებშიც მოხვედრილიყო.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო შესავლის იმ ადგილმა, სადაც გამომცემელი აღნიშნავს, რომ ამ თვალსაჩინო მამულიშვილისა და დიდი პატრიარქის ქადაგებებისა და სიტყვების გამოქვეყნებაზე ზრუნვა მას *„ჩვენი ქვეყნის დღევანდელმა რელიგიურად შეფერილმა გარემომ“* უკარნახა. თუ რას გულისხმობს ავტორი *„რელიგიურად შეფერილ გარემოში“*, თანამედროვე მკითხველი საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი მისივე მრავალრიცხოვანი პუბლიკაციებით სხვადასხვა საეკლესიო თუ საზოგადოებრივ თემაზე. ეს პუბლიკაციები გამოირჩევა მძაფრი კრიტიკით თანამედროვე საქართველოს იმ სამღვდელო და

სამრევლო წრეების მიმართ, რომლებიც თვითნებობენ და ძალადობენ, თავიანთ ქმედებას კი მართლმადიდებლობის სახელით ახორციელებენ და მართლმადიდებლურ ღირებულებებად ასაღებენ.

იმისათვის, რომ უკეთ ჩავწვდეთ აღნიშნული კრიტიკის საფუძვლებს, მოვიხმობთ ნ. პაპუაშვილის სიტყვებს იმავე შესავლიდან: *„პოსტსაბჭოურ საქართველოში თითქმის ყოველდღე გაისმის მოწოდებები იმ ინდივიდებისა თუ კოლექტივების მხრიდან, რომლებიც თავიანთ თავს მართლმადიდებლად მოიხსენიებენ: საჯარო სკოლებშიც უნდა ისწავლებოდეს საღვთო რჯული იმ შინაარსით და იმ მეთოდით, როგორადაც ამას ჩვენ მოვიაზრებთ! სცენასა თუ ეკრანზე, წიგნსა თუ გაზეთში წარმოდგენილი არ უნდა იყოს ის, რასაც ჩვენ სულის წარწყმედად მივიჩნევთ! რესტორნებსა თუ პლაჟებზე არ უნდა მოეწყოს ის, რაც ჩვენი რწმენით არ უნდა მოეწყოს! მიტინგი, აქცია და ქუჩაში მსვლელობა არ უნდა მოაწყონ მათ, ვისზეც ჩვენ ვამბობთ, რომ არ უნდა მოაწყონ! ესა თუ ის შენობა, ნანგრევი თუ მიწის ნაკვეთი არ უნდა გადაეცეს მას, ვისაც ჩვენ ვთვლით, რომ არ უნდა გადაეცეს! (ჩვენ უნდა გადმოგვეცესო). ამ დროს ფაქტია (და ესაა აქ მთავარი და არსებითი), რომ ამ და მსგავსი მოწოდებების წინაშე ხშირად (და მეტწილად) ქედს იხრის ის ინსტიტუტი, რომელიც წესისა და რიგის მიხედვით ასეთ მოწოდებებს და მოთხოვნებს ქედს არ უნდა უხრიდეს. ეს ინსტიტუტი არის სეკულარული და დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც ჩვენს სინამდვილეში მფარველობს ერთი აღმსარებლობის ეკლესიას და უგულებელყოფს სხვა აღმსარებლობის ეკლესიებს (ქრისტიანულს თუ არაქრისტიანულს), რაც არღვევს როგორც ეკლესიისა და სახელმწიფოს გაყოფის, ისე მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის კონსტიტუციურ პრინციპს“* (გვ. 8-9).

ყველაზე დიდი პრობლემა ციტირებული სიტყვების ავტორისათვის, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის შვილისა და სამშობლოს მოყვარული მოქალაქისათვის, მომდევნო სიტყვებშია ჩამოყალიბებული: *„ქმედებები და მოვლენები, რაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით ბოლო ათწლეულებში წარიმართება, რასაც სხვადასხვა სახის რწმენა-წარმოდგენები კვებავს და რომლის მასშტაბმა უკვე სერიოზული სახე მიიღო, ყველაზე მეტად აღნიშნულ ეკლესიას აზარალებს და მომავალში კიდევ უფრო დააზარალებს. სწორედ მისი და, პირველ რიგში, მისი ავტორიტეტი ილახება ადგილზეც და საერთაშორისო ასპარეზზეც... ვინმე იფიქრებს (და ფიქრობენ კიდეც), რომ რელიგიური ეთნონაციონალიზმი (ერთგვარი ერესი – ფილეტიზმი), სხვა აღმსარებლობის ეკლესიების მიმართ ქსენოფობიური, რეტროგრადული და კარჩაკეტილი დამოკიდებულება, რომლისთვისაც ნიშან-*

დობლივია სიძულვილის ენა და რითაც აღბეჭდილია პოსტსაბჭოური საქართველოს საეკლესიო სივრცე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განუყოფელი და მოუცილებელი თანამდევია“(გვ. 9-10).

ამის გამო დაისმის არსებითი და საჭირბოროტო კითხვა: მართლა ასეა? განსახილველი გამოცემის უპირველესი მიზანი სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემაა. პასუხი კი არის მკვეთრი, მკაფიო და კატეგორიული: არა! ამის დასტურად და მკითხველთა დასაკვალიანებლად წარმოუდგება ავტორს სრულიად საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის სამოძღვრო-საღვთისმეტყველო მემკვიდრეობა და ამ მიზნით მოამზადა მან გამოსაცემად კრებული, რომელსაც ახლა მიმოვიხილავთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კრებულში ქადაგებები და სიტყვები დალაგებულია თემატურად და წარმოდგენილია ორ განყოფილებად. პირველ განყოფილებაში მოთავსებულია საეკლესიო-სადღესასწაულო ქადაგებები, მეორეში კი – კერძო ღმრთისმსახურების (პარაკლისების, პანაშვიდების) დროს წარმოთქმული სიტყვები. მეცნიერებისათვის, კერძოდ კი, ქართული კულტურისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიისათვის განსაკუთრებით ფასეულია მეორე განყოფილების მასალა. აქ, საპანაშვიდო და საპარაკლისო ქადაგებებში, ღვთისმეტყველი სწავლულის თვალით დანახული და შეფასებულია არა ერთი და ორი მწერლის, კულტურის მუშაკის, პოლიტიკოსის, მეწარმის თუ ქველმოქმედის ცხოვრება და შემოქმედება. ჩვენ თვალწინ ცოცხლდება იმდროინდელი (XIX-XX სს-ის) საქართველოს მრავალმხრივ საინტერესო სურათები.

საქართველოში ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომელსაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის მოღვაწეობის შესახებ რაიმე არ სმენია. არაერთხელ მოგვისმენია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის შეფასება უწმინდესი კალისტრატეს ნაღვაწ-ნაამაგარისა. ვიცოდით ილია II-ის განსაკუთრებული პატივისცემა და სიყვარული მის მიმართ. ისიც ცნობილი იყო, რომ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მკვლევარმა, ნ. პაპუაშვილმა სწორედ კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის კურთხევით დაიწყო უწმინდესი კალისტრატეს ქადაგებებისა და სიტყვების შეკრება და გამოქვეყნება, მაგრამ, როდესაც ეს ქადაგებები და სიტყვები ერთად თავმოყრილი ვნახეთ და წავიკითხეთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ჭეშმარიტ სიტყვასა და სწორ პოზიციას ყავლი არასოდეს გაუდის, რომ ამ მასალას ნამდვილად შეუძლია კეთილი როლის შესრულება იმ პრობლემების მოგვარების საქმეში, რაზეც გამომცემელი საუბრობს და რაც ნამდვილად

მისახედი და მოსაგვარებელია. მთავარია, ეს მასალა მკითხველთა ფართო წრემდე მივიდეს.

წინამდებარე რეცენზიის რეგლამენტის გამო მხოლოდ რამდენიმე ადგილის შესახებ გავამახვილებთ ყურადღებას. ჩვენ თვალწინ იშლება პატრიარქ კალისტრატეს გულწრფელი სიყვარული და ერთგულება ქრისტიანული სარწმუნოებისადმი; მისი განსწავლულობა და ცოდნა არა მხოლოდ საღმრთო სჯულისა, საქართველოს ისტორიისა და ძველი ქართული ლიტერატურისა, არამედ რომისა და ბიზანტიის ისტორიისაც. პატრიარქი არაჩვეულებრივ პარალელებს გვთავაზობს რომის, ბიზანტიისა და საქართველოს შესატყვისი პერიოდის საეკლესიო თუ საერო ცხოვრებებიდან (იხ. ქადაგება წმ. ნინოზე, გვ. 41-53), რაც დღესაც, ჩვენს რეალობაში, ჩვენს საეკლესიო და პოლიტიკურ ცხოვრებაშიც არ არის მოკლებული აქტუალობას. ამ პარალელებში დღევანდელ პოლიტიკოსებსა და კონფლიქტოლოგებსაც შეუძლიათ, ამოიკითხონ მათთვის გამოსადეგი და დამაკვალიანებელი აზრები.

ნებისმიერი დარგის, პროფესიისა თუ სოციალური წრის ადამიანი საჭირო და გამოსადეგ მასალას განსაკუთრებით კრებულის მეორე განყოფილებში იპოვის. აქ გაერთიანებულია კერძო ღვთისმსახურების დროს წარმოთქმული სიტყვები, რომელთა ქრონოლოგიური საზღვრები 1893-1936 წლებს მოიცავს. ესაა სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე, სახელმწიფოებრივ მოვლენებთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე წარმოთქმული სიტყვები. დიდი და ცნობილი პიროვნებები: ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, დავით სარაჯიშვილი, კოტე მესხი, თედო ჟორდანია თუ სხვანი უწმინდესი კალისტრატეს მიერ ისე სიღრმისეულად არიან დახასიათებულნი, მათი ღვაწლი და დამსახურება სამშობლოსა და ერის წინაშე ისე ფართოდ არის განხილული, რომ ისინი სამეცნიერო გამოკვლევების შთაბეჭდილებას ტოვებენ.

კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს ეს სიტყვები იმის დანახვასა და გაგებაშიც გვეხმარება, თუ რა გამოწვევების წინაშე იდგა იმდროინდელი საქართველო. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს 1914 წლის 24 დეკემბერს თავად-აზნაურთა საკრებულოს დარბაზში წარმოთქმული სიტყვა: *„კავკასიის ჯარის შემოსეულ ოსმალოს მხედრობაზე გამარჯვების გამო“,* ასევე, 1915 წლის 25 იანვარს მესანგრეთა ყაზარმის ეზოში წარმოთქმული სიტყვა: *„ქართველ მოხალისეთა რაზმის საომრად გამგზავრების გამო“* და სხვა, საიდანაც ჩანს, თუ როგორი თვალით უყურებდნენ იმდროინდელი ქართველი პატრიოტები პირველ მსოფლიო ომში ჩვენს თამამემამულეთა მონაწილეობას. იმასაც ვხე-

დავთ, რომ 1918 წლიდან დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ საქართველოში გახშირებულა კრიმინალი და მკვლელობები, რელიგიური კონფლიქტები, რამაც ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ერთიანობის იდეაში ბზარი შეიტანა. აჭარელმა და ინგილო-მუსლიმებმა საქართველოს სივრციდან გასვლა მოინდომეს. ამის გამო, მომავალმა პატრიარქმა მუსლიმი ქართველები კი არ დაადანაშაულა (და ეს არის დღევანდელი საქართველოსათვის ყველაზე დამაფიქრებელი და გასათვალისწინებელი), არამედ მათი გადაწყვეტილების მიზეზის ძებნა საკუთარი ეკლესიის წიაღში დაიწყო. 1918 წლის 23 ივლისს ვლადიმერ გობეჩიას დაკრძალვის ცერემონიალზე შეკრებილ ხალხს მან ასე მიმართა: *„ჩვენში რომ საღის სარწმუნოებრივის სწავლისათვის ეზრუნათ, დაეცვათ მტკიცედ ქრისტეს სჯული, პატივისცემით მოჰპყრობოდნენ სხვის სარწმუნოებას – აჭარა არ ჩამოგვშორდებოდა, ინგილო-მაჰმადიანები და ინგილო ქრისტიანები ძმურად იცხოვრებდნენ ერთმანეთში და თვით ვლადიმერ გობეჩია აქ უსულოდ მდებარე არ იქნებოდა“...* (გვ. 166).

ციტირებული სიტყვებიდან არსებითი არის ის, რომ ქრისტეს ეკლესიის მსახური გამოსავალს ურთიერთსიყვარულსა და „საღი სარწმუნოების“ გავრცელებაში ხედავს: *„ქრისტეს დიადის მცნების – ურთიერთას სიყვარულის – გარეშე ცხოვრება შეუძლებელია და ამისთვის, თუ გნებავთ, განთავისუფლებულ საქართველოში განვითარდეს თავისუფალი მოქალაქობა, ხელი შეუწყეთ საღის სარწმუნოებრივ-ზნეობრივის სწავლის გავრცელებას“* (იქვე).

სამოცდაათწლიანი ათეისტური რეჟიმის გადაგდების შემდეგ საქართველო ისევ დაადგა დამოუკიდებლობის გზას (1991 წლის 9 აპრილიდან). თვალს თუ გადავავლებთ მოვლენათა მსვლელობას ამ ბოლო 25 წლის განმავლობაში, ნათლად დავინახავთ, რომ საქართველო და მისი მოსახლეობა იმავე გამოწვევებისა და პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, რომელთა წინაშეც 1918 წელს იმყოფებოდა: გახშირდა კრიმინალი და მკვლელობები; ვერც ძმათა მკვლელი შეტაკებები ავიცდინეთ და ვერც ომი გარეშე მტერთან; მომრავლდა რელიგიური ხასიათის კონფლიქტებიც. ამის დასტურად მარტო ქობულეთის მახლობლად მდებარე მუსლიმთა მედრესეს კარებზე „ჭეშმარიტ“ მართლმადიდებელთა მიერ ღორის თავის მილურსმვა და იქაურობის ღორის სისხლით მოთხვრა იკმარებს. ამ და მსგავსი ფაქტების გახსენების შემდეგ, მკვლევარი და გამომცემელი სავსებით საფუძვლიანად და მართებულად სვამს რიტორიკულ კითხვას: მოიწონებდნენ ასეთ საქციელს, მართლმადიდებლობისა და მამულიშვილობის სახელით ჩა-

დენილს, ჩვენი დიდი წინაპრები და, კერძოდ, უწმინდესი კალიტრატე ცინცაძე? (გვ. 11-13).

საკითხის ასე დასმა ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში, პუბლიცისტიკასა თუ მეცნიერებაში აუცილებელი და საჭიროა. სწორედ ის ქმედებები და მოვლენები (ფანატიზმამდე მისული რელიგიური ეთნონაციონალიზმის, პათოლოგიური მისტიციზმის დამკვიდრება, უპატივცემულობა სხვა აღმსარებლობის ეკლესიების მიმართ, ქსენოფობია, ფეტიშიზმი და ა. შ), რომლებიც ბოლო ორი ათწლეულის საქართველოში მართლმადიდებლობის დამცველთა სახელით წარიმართება, გახდა იმპულსი ნ. პაპუაშვილისათვის, რომ პატრიარქ კალისტრატეს ქადაგებები და სიტყვები შეეკრიბა და კრებულის სახით გამოექვეყნებინა; ამით კი ის ეჩვენებინა, რომ სიძულვილის ენით ლაპარაკი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ბუნებითი თვისება ან წარსულის მემკვიდრეობა არ არის. ეს ქრისტიანული მოძღვრების არასათანადო ცოდნის ბრალია. ასეთი ცოდნის გავრცელებაში კი ეს კრებული უსათუოდ დიდ წვლილს შეიტანს. ვიმეორებთ: მთავარია, მკითხველთა ფართო წრემდე მისი მიტანა მოხერხდეს!

არანაკლებ საინტერესოა თავად ნ. პაპუაშვილის გამოკვლევა: *„კალისტრატე ცინცაძე სარწმუნოების, მოქალაქეობისა და კულტურის შესახებ“,* რომლის ქართული ვრცელი და რუსული მოკლე ვარიანტი მას ოცდაათი წლის წინ დაუწერია. ორივე ტექსტი (გარკვეულწილად გადამუშავებული და შევსებული) ამავე გამოცემაში არის წარმოდგენილი. ქართულ ვარიანტს ერთვის ამ გამოცემისათვის საგანგებოდ მომზადებული შენიშვნები (რიცხვით 57), რომელთაგან ზოგიერთი დამოუკიდებელი სტატიისა და გამოკვლევის ტოლფასია.

ნაშრომში წარმოდგენილია უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატეს ცხოვრებისეული გზა ყმაწვილკაცობიდან გარდაცვალებამდე. პატრიარქის წერილობითი მემკვიდრეობის საფუძველზე, მწყობრადაა ჩამოყალიბებული და წარმოჩენილი პატრიარქ კალისტრატეს პორტრეტი, როგორც მღვდლისა და სულიერი მოძღვრისა, მღვდელმთავრისა და საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელისა; როგორც წარსულის მემკვიდრეობის თავდადებული დამცველისა და ეკლესიის რეფორმატორისა. ასევე, შესანიშნავადაა წარმოჩენილი პატრიარქ კალისტრატეს წვლილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში; მისი ღვაწლი საეკლესიო თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განათლებისა და კულტურის სფეროში.

სამოძღვრო და ზნეობრივი ღვთისმეტყველების თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო სიახლედ წარმოგვიდგება კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატესეული ცნება „საღი სარწმუნოება“ და მის საფუძ-

ველზე ნუგზარ პაპუაშვილის მიერ შემუშავებული ცნება „მორწმუნეობის კულტურა". თუ რა იგულისხმება ამ ცნებების ქვეშ, მკითხველი იპოვის გამოკვლევის იმ ქვეთავში, რომლის სათაურია „მორწმუნეობის კულტურა და თავისუფალი მოქალაქეობა" (გვ. 228-232). მორწმუნეობის კულტურის ცოცხალ მაგალითად წარმოგვიდგება მუსლიმ აზერბაიჯანელთა და ქრისტიან ქართველ-სომეხთა ურთიერთშეთანხმებული და თანადროული ლოცვა 1905 წელს ბაქოში მომხდარი სისხლიანი ეთნოკონფლიქტის გამო (გვ. 109-110,229-230).

გამოკვლევაში ფართოდაა მიმოხილული პატრიარქ კალისტრატეს მეცნიერული მემკვიდრეობა. მკვლევარს ღრმად აქვს გააზრებული და სათანადოდაც შეფასებული ეს ნაშრომები. ის ნებისმიერი დონის მკითხველისათვის გასაგებ ენაზე, ლაღად, მარტივად და ლაკონურად გადმოგვცემს ამ მრავალმხრივ საინტერესო ისტორიულ-თეოლოგიური ხასიათის ნაშრომთა ძირითად აზრსა და დანიშნულებასაც.

პატრიარქ კალისტრატეს ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის კვალდაკვალ მკვლევარი საინტერესოდ აღწერს იმ მძაფრ ქარტეხილებსაც, რომლებიც XX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს და მის ეკლესიას დაატყდა თავს. ასე რომ, ამ წიგნს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უახლესი ისტორიაც შეიძლება ეწოდოს.

თამარ მესხი

Zaal Andronikashvili, Tatjana Petzer, Andreas Pflitsch, Martin Treml (Hg.), Die Ordnungpluraler Kulturen. Figurationen europäischer Kulturgeschichte, vom Osten her gesehen, Zentrum für Literatur- und Kulturforschung Berlin, Kulturverlag Kadmos, Berlin, 2013, 410 S.

წინამდებარე კრებული გამოიცა 2013 წელს ბერლინის ლიტერატურისა და კულტურის კვლევის ცენტრის თანამშრომლების მიერ გერმანიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „ევროპის მრავლობით კულტურათა ტოპოგრაფიები „ევროპის აღმოსავლეთით გადაწევის" გათვალისწინებით". როგორც პროექტისა და წიგნის სათაურებიდანვე ჩანს, ავტორ-შემდგენელთა და კრებულის დანარჩენ ავტორთა (იანის აუგსბურგერი, ესთერ კილჰმანი, ჰელენ პრჟიბილა, ვაჰეტახიანი, ბარბარა ვინკლერი) კვლევის საგანი ის სხვადასხვა კულტურული ხატებები და სტრატეგიებია, რომელთა მეშვეობითაც ხდება ცივი ომის დასრულებისა და ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ ევროპის აღმოსავლეთით გადაწევის (რაც „გაფართოების" ევფემიზმია?) შედეგად მი-